



კარტოფილის მავნებელ-დაავადებებისა და  
სარეველებისაგან დაცვა აპრილი-მაისის თვეებში

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი  
ცენტრი

2020

### აპრილი

- თესვის წინ:

სათესლე მასალის შეწამვლა მავნებლების და დაავადებების წინააღმდეგ (მავლებლებდ: კოლორადოს ხოჭო, კარტოფილის ჩრჩილი, ბუგრები, მავთულა ჭიები, ცრუმავთულა ჭიები, მაისის ხოჭო, ჭიჭინობელები, თრიფსები; დაავადებები: ფიტოფტოროზი, რიზოქტონიოზი, მაკროსპოროზი, ვერცხლისფერი და ჩვეულებრივი ქეცი).

**პრეპარატი, მოქმედი ნივთიერება, პრეპარატის ხარჯვის ნორმა 1 ჰა-ზე:**

**ნუპრიდი** (იმიდაკლოპრიდი) - 0,15-0,3 ლ/ტ თესლზე, ან **ემესტო კვანტუმი** (კლოთიანიდინი+ პენფლუფენი) - 0,25-0,3 ლ/ტ თესლზე, ან **სელესტ ტოპი** (თიამეთოქსამი+ ფლუდიოქსონილი+ დიფენოკონაზოლი)- 0,4 ლ/ტ თესლზე, ან **პრესტიჟი** (იმიდაკლოპრიდი+პენციკურონი)-1 ლ/ტ თესლზე, ან **პრემიუმი** (იმიდაკლოპრიდი+პენციკურონი) - 1-1,3 ლ/ტ თესლზე, ან **როვრალ აკვაფლო** (იპროდიონი)-0,3-0,4 ლ/ტ თესლზე.

- კულტურის აღმოცენებამდე:

ნიადაგური მოქმედების ჰერბიციდების შეტანა ერთწლოვანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველების წინააღმდეგ.

**პრეპარატი, მოქმედი ნივთიერება, პრეპარატის ხარჯვის ნორმა 1 ჰა-ზე:**

**არკადე** (პროსულფოკარბი +მეტრიბუზინი)- 3-4 ლ/ჰა, ან **მეტრიკი** (კლომაზოლი+ მეტრიბუზინი) - 1,5 ლ/ჰა, ან **ზენკორი ლიქვიდი** (მეტრიბუზინი) - 0,3-1,1 ლ/ჰა.

### მაისის შუა რიცხვები

- შესხურება სარეველების წინააღმდეგ 2-4 ფოთლის ფაზაში, კულტურის არაუმეტეს 5-10 სმ სიმაღლისას (მრავალწლოვანი, ერთწლოვანი, მარცვლოვანი და ზოგიერთი ორლებნიანი სარეველა).

**პრეპარატი, მოქმედი ნივთიერება, პრეპარატის ხარჯვის ნორმა 1 ჰა-ზე:**

სელექტიური ჰერბიციდები: **ტიტუსი** (რიმსულფურონი)+ მიმწებებელი **ტრენდ 90** - 50 გ/ჰა + 250 მლ/ჰა „ტრენდ 90“, ან **ფიუზილად ფორტე** (ფლუაზიფოპ-3-ბუთილი)-0,75-1,5 ლ/ჰა, ან **აგილი** (პროპაციზაფოპი)-0,6-1,2 ლ/ჰა, ან **კვიკსტები** (კლეთოდინი+გალოქსიფოპ-პმეთილი)-0,4 ლ/ჰა.

### მაისის ბოლო

- კულტურის 20-25 სმ სიმაღლისას ბრძოლა მავნებლების კომპლექსის წინააღმდეგ (კოლორადოს ხოჭო, ვირუსების და ფიტოპლაზმების გადამტანი მწერები: ბუგრები, ჭიჭინობელები)

**პრეპარატი, მოქმედი ნივთიერება, პრეპარატის ხარჯვის ნორმა 1 ჰა-ზე:**

ინსექტიციდები: **კაიზო** (ლამბდა-ციჰალოტრინი)-0,1-0,2 ლ/ჰა, ან **ადმიტი** (აცეტამიპრიდი +ლამბდა ციჰალოტრინი)- 0,3-0,45 ლ/ჰა, ან **კარატე ზეონი** (ლამბდა- ციჰალოტრინი)- 0,1-0,2 ლ/ჰა, ან **კონფიდორი** (იმიდაკლოპრიდი)-0,15- 0,2 კგ/ჰა, ან **ფასტაკი** (ალფა-ციპერმეტრინი)-0,07-0,1 ლ/ჰა, ან **მოსეტამი** (აცეტამიპრიდი)- 0,06 კგ/ჰა.

- **შესხურება ნიადაგის მავნებლების კომპლექსის წინააღმდეგ (მავთულა და ცრუმავთულა ჭიები) პრეპარატი, მოქმედი ნივთიერება, პრეპარატის ხარჯვის ნორმა 1 ჰა-ზე:**  
**ფორსი** (ტეფლუტრინი)-10-15 კგ /ჰა ნიადაგში შეტანა (მწკვრივებში) რგვის დროს ან დარგვის შემდეგ, ან **რეგენტი** (ფიპრონილი)-5 კგ/ჰა ნიადაგში შეტანა რიგებში დეზატორებით დარგვის დროს ან ბარტყობის დროს; 10 კგ/ჰა მთლიანი გაფანტვა ნიადაგზე.

**შენიშვნა:** რეკომენდაციაში მოცემული პესტიციდები რეგისტრირებულია საქართველოში. შესაძლებელია მისი კორექტირება, ასევე პრეპარატების ჩანაცვლება სპეციალისტებთან შეთანხმებით კლიმატური პირობების, ზონალობის, პესტიციდების ასორტიმენტისა და გამოყენების რეგლამენტების გათვალისწინებით.

**სამუშაო ხსნარის მომზადება:**

ჩატარებული წამლობის ეფექტურობისათვის საჭიროა სამუშაო ხსნარის კონცენტრაციის ზუსტი განსაზღვრა: **სამუშაო ხსნარის კონცენტრაცია არის პრეპარატის ხარჯვის ნორმა (1 ჰა-ზე) გამრავლებული 100-ზე და გაყოფილი სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმაზე (1 ჰა-ზე).**

